საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/ 515

ქ. ბათუმი 14 ივლისი, 2023 წ.

,,2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო"

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 07 ივლისის N01-08/498 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის **დამტკიცების** თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის'' (ცვლილება - ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 იანვრის N01-02/06 ბრძანებით), ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერის 2023 წლის 06 ივნისის MES 3 23 0000649284 და **07 ივლისის N848114** სამსახურებრივი ბარათის, ,,2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 07 ივნისის N01-08/463 ბრძანების, ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) ე.წ. მე-5 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტ შრიტეჯ შეეტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 11 ივლისის N01-08/506 ბრძანების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის **დეკანის 2023 წლის 07 ივლისის N844284 და 13 ივლისის N879486** სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2022- 2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 07 ივლისის N01-08/498 ბრძანება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.**

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) კანონმდებლობითი დადგენილი წესით და ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**